ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

საქართველოს სახელმ. ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1928 წ.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

1928 წ. მაისის 25. № 7 ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

52. დადგენილება № 22 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—საქართველოს სსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა გამოქვეყნების წესის შესახებ.

53. დადგენილება № 23 ც. ა. კ.—უპატრონო ბავშვთა დახმარების ლენინის სახელობის ფონდის შესაქმნელად სამდღიურის ჩატარების შესახებ ა/წ. აპრილის 22, 23 და 24-ს.

54. დადგენილება № 24 ც. ა. კ.—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში დეკრეტებისა და დადგენილებების პროექტების განხილვის წესის შესახებ" 1923 წ. მაისის 26-ს თარიღითა და 41-№-ით გამოცემული დადგენილების მე-5 და მე-6 მუხლის გაუქმების შესახებ.

55. დადგენილება № 25 ც. ა. კ.—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა ძალაში შესვლის დროის შესახებ" 1926 წ. თებერვლის 1-ს თარიღითა და 5-№ რით გამოცემული დადგენილების 1-მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

56. დადგენილება № 26 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—მიწის კოდექსისათვის 92[1] მუხლის დამატების შესახებ.

57. დადგენილება № 27 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—მოუვლელობის გამო ქალაქ-ადგილას საცხოვრებელ შენობათა მუნიციპალიზაციის წესის შესახებ.

58. დადგენილება № 28 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—ავტომობილების მოძრაობის თაობაზე არსებული პარიზის საერთაშორისო კონვენციის თანახმად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერიტორიაზე მყოფ უცხო მოქალაქეთა ავტომობილებისა და მოტოციკლეტების თვითმოძრავი ეკიპაჟების ადგილობრივი გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

59. დადგენილება ს. კ. ს.—1927/28 წ. ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირების უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

60. დადგენილება ს. კ. ს.—მრეწველობის სამშენებლო სამუშაოთა კლასიფიკაციის შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

52. დადგენილება № 22 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა გამოქვეყნების წესის შესახებ.

1. საქართველოს სსრ საბჭოთა ყრილობისა, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმისა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და ეკონომიური საბჭოს ყველა დეკრეტი და დადგენილება, ამა დადგენილების მე-2 მუხლში ჩამოთვლილების გარდა, გამოქვეყნებულ უნდა იქნეს „საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულ“-ში; ამასთანავე საკანონმდებლო ხასიათის დადგენილება გამოქვეყნდება აღნიშნული „კრებულ“-ის პირველ ნაწილში, ხოლო ყველა დანარჩენი დადგენილება—მეორე ნაწილში.

2. „საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულ“-ში არ გამოქვეყნდება:

ა) ის დადგენილება, რაც სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მისი პრეზიდიუმისა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი, მისი თავმჯდომარისა, საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსი, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველის სპეციალური განკარგულებით არ უნდა იქნეს გამოქვეყნებული;

ბ) სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მისი პრეზიდიუმისა, სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საადმინისტრაციო და სამეურნეო-საადმინისტრაციო ხასიათის ყველა დადგენილება, რასაც საერთო მნიშვნელობა არა აქვს და, ამის გამო, მისი გამოქვეყნება ზედმეტად არის მიჩნეული: სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის დადგენილების გამოქვეყნება—სრ. საქ. საბჭ. ცენტ. აღმ. კომ. მდივნის მიერ, ხოლო სახალხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისართა საბჭოს და ეკონომიურ საბჭოს დადგენილებისა—სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველის მიერ.

3. ის გარემოება, რომ დადგენილება, თანახმად 1 მუხლისა, გამოქვეყნებულ უნდა იქნეს, ან თანახმად მე-2 მუხლისა გამოქვეყნებულ არ უნდა იქნეს, აღინიშნება ოქმში, დადგენილების დედანზე, დასაგზავნ ასლებზე და ამონაწერებზე, წარწერით:

„გამოქვეყნებულ უნდა იქნეს კანონთა კრებულში", უკეთუ ეს ეხება 1 მუხლში აღნიშნულ დეკრეტებსა და დადგენილებებს;

ხოლო უკეთუ ეს ეხება მე-2 მუხლის „ა" პუნქტში აღნიშნულ დეკრეტებსა და დადგენილებებს—„გამოქვეყნებულ არ უნდა იქნეს" და ბოლოს,

უკეთუ ეს ეხება მე-2 მუხლის „ბ" პუნქტში აღნიშნულ დადგენილებებს—„გამოქვეყნება სავალდებულო არ არის".

4. ისეთი გამოსაქვეყნებელი დეკრეტი და დადგენილება (მუხ. 1-2), რომელსაც უაღრესი მნიშვნელობა აქვს და საჭიროა მისი უფრო ფართოდ გავრცელება, „საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული"-ს გარდა, გამოქვეყნებულ უნდა იქნეს აგრეთვე გაზეთ „კომუნისტ"-ში.

საკითხს, საჭიროა თუ არა დადგენილების გამოქვეყნება პერიოდულ ბეჭდვითი სიტყვის აღნიშნულ ოფიციალურ ორგანოში, გადასწყვეტენ ამა დადგენილების მე-2 მუხლის „ბ" პუნქტში ჩამოთვლილი პირნი.

5. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის თანახმად გამოსაქვეყნებელი დეკრეტისა და დადგენილების შემოწმებულ ასლს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სამდივნო გაუგზავნის იუსტიციის სახალხო კომისარიატის საკანონმდებლო განყოფილების საკოდიფიკაციო ნაწილს „საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულ"-ში გამოსაქვეყნებლად, ხოლო მე-4 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში—ამ მუხლში აღნიშნულ ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოს.

შენიშვნა. სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობისა, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ან მისი პრეზიდიუმის დეკრეტები და დადგენილებები, აგრეთვე სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სახელით გამოსაცემი საკანონმდებლო ხასიათის აქტები წარიმართება გამოსაქვეყნებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სამდივნოს მეშვეობით.

6. „საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულ"-ში გამოსაქვეყნებელი დადგენილება, აღნიშნულ კრებულში და ამა დადგენილების მე-4 მუხლით გათვალისწინებულ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნების შემდეგ, შეიძლება გამოქვეყნებულ იქნეს სათანადო უწყების საუწყებო ორგანოში.

უკეთუ ზემოაღნიშნული დადგენილება საუწყებო ხასიათისაა, იგი შეიძლება გამოქვეყნებულ იქნეს სათანადო უწყების საუწყებო ორგანოში ამა დადგენილების 1 და 4 მუხლში აღნიშნულ ერთ-ერთ ორგანოში გამოქვეყნებამდეც, იმ პი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რობით კი, რომ ყოველ ცალკე შემთხვევაში ეს ნებადართული იყოს ან სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნისა ან საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველის მიერ, კუთვნილებისამებრ.

7. მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნული დადგენილება საუწყებო ორგანოში გამოქვეყნდება უწყების ხელმძღვანელის პასუხისმგებლობით.

8. მე-2 მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნული დადგენილების შესახებ პერიოდულ და არაპერიოდულ ბეჭდვით ორგანოში საინფორმაციო ცნობის მოთავსება შეიძლება მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ცნობის ტექსტს სანებართვო ვიზას გაუკეთებს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ან სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველი, კუთვნილებისამებრ.

9. საქართველოს სსრ უმაღლესი ორგანოების მიერ დამტკიცებული ყველა იურიდიული პირის წესდება: სააქციო საზოგადოებისა (საპაიო ამხანაგობისა), საკრედიტო დაწესებულებისა, ტრესტისა და სინდიკატისა, კოოპერატიული შენაერთისა, აგრეთვე ისეთი კავშირისა და შენაერთისა, რომელსაც მიზნად მოგება არ აქვს დასახული, რეგისტრაციის შემდეგ, აუცილებლად გამოქვეყნებულ უნდა იქნეს „საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული“-ს მეორე ნაწილში.

ზემოაღნიშნულ წესდებათა დამტკიცების შემდეგ, ხოლო მათ რეგისტრაციამდე, სათანადო საზოგადოებისა და შენაერთის დამფუძნებლებმა ან დაწესებულებისა და საწარმოს ხელმძღვანელებმა უნდა წარადგინონ იუსტიციის სახალხო კომისარიატის საკანონმდებლო განყოფილების საკოდიფიკაციო ნაწილში წესდების ოფიციალურად შემოწმებული ასლი პუბლიკაციისათვის დაწესებული სასყიდლით.

რეგისტრაციის ორგანომ იურიდიული პირის რეგისტრაციის დროს უნდა გამოარკვიოს, შესრულებულია თუ არა ამა მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა და, არა უგვიანეს 7 დღისა, აცნობოს იუსტიციის სახალხო კომისარიატის საკანონმდებლო განყოფილების საკოდიფიკაციო ნაწილს რეგისტრაციაში წესდების გატარება.

შენიშვნა. წესდების პუბლიკაციის სასყიდელს განსაზღვრავს იუსტიციის სახალხო კომისარი საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისართან შეთანხმებით.

10. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მისი პრეზიდიუმისა, სახალხო კომისართა საბჭოსი ან ეკონომიური საბჭოს დადგენილებათა თანახმად გამოცემული საქართველოს სსრ ცენტრალურ დაწესებულებათა და უწყებათა, აგრეთვე სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს განყოფილებებისა და კომისიების დადგენილებანი, განკარგულებანი და ინსტრუქციები, გარდა საიდუმლო ხასიათის დადგენილებისა, განკარგულებისა და ინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტრუქციისა, გამოქვეყნებულ უნდა იქნეს „საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულის“ მეორე ნაწილში, ხოლო ამა დადგენილების მე-4 მუხ. აღნიშნულ შემთხვევაში, კრებულის გარდა, აგრეთვე იმავე მუხლით გათვალისწინებულ ბეჭდვით ორგანოში.

11. მე-10 მუხლის წესით გამოსაქვეყნებელი ყველა დადგენილებისა, განკარგულებისა და ინსტრუქციის ასლი, რაც შემოწმებულ უნდა იყოს ცენტრალური დაწესებულებისა, უწყების, ან სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს განყოფილების ან კომისიის მდივნის მიერ, კუთვნილებისამებრ, გაეგზავნება ამ დაწესებულებისა, უწყებისა, განყოფილების ან კომისიის ხელმძღვანელის განკარგულებისამებრ, იუსტიციის სახ. კომისარიატის საკანონმდებლო განყოფილების საკოდიფიკაციო ნაწილს.

12. მე-10 მუხლში აღნიშნული ყველა დადგენილებისა, განკარგულებისა და ინსტრუქციის გამოქვეყნება საუწყებო გამოცემაში შეიძლება ამ მუხლით დაწესებული გამოქვეყნების დამოუკიდებლად.

13. უკეთუ იუსტიციის სახალხო კომისარიატი სცნობს, რომ დაწესებულების ან უწყების მიერ მისთვის გაგზავნილი დადგენილება, განკარგულება ან ინსტრუქცია არ უნდა იქნეს გამოქვეყნებული „საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულ“-ში იმის გამო, რომ ეს დადგენილება, განკარგულება თუ ინსტრუქცია არ შეესაბამება ამა დადგენილების მე-10 მუხლში აღნიშნულ ნიშნებს, ან ეწინააღმდეგება კანონებს, ან გამოცემულია კომპეტენციის დარღვევით, იგი უარს ეტყვის გამოქვეყნებაზე და ამ გარემოებას, არა უგვიანეს 7 დღისა, აცნობებს სათანადო დაწესებულებას ან უწყებას, თანაც უარის საფუძველს ზედმიწევნით აღნიშნავს.

დაწესებულებას ან უწყებას შეუძლიან განასაჩივროს იუსტიციის სახალხო კომისარიტის უარი გამოქვეყნებაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში.

14. სასწრაფო შემთხვევაში, ცენტრალური დაწესებულებისა, უწყების ან სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს განყოფილების ან კომისიის ხელმძღვანელთა განკარგულებით, გამოსაქვეყნებელი საუწყებო აქტი შეიძლება გაეგზავნოს აგრეთვე პირდაპირ მე-4 მუხლში აღნიშნულ ბეჭდვით პერიოდულ ორგანოს, იმ პირობით კი, რომ შემდეგ აუცილებლად შესრულებულ იქნეს ამა დებულების მე-11 მუხლის მოთხოვნა.

15. „საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული“-ს ყოველი ნომრის გამოსვლისთანავე ამ კრებულის ეკზემპლიარები გაეგზავნება სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სახალხო კომისარიატებს, საქართველოს სსრ შემავალ რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოებს, ყველა სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტსა და სათემო და სასოფლო საბჭოს და, აგრეთვე, ყველა სასამართლო დაწესებულებასა და პროკურატურის ორგანოს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

სრულიად საქართვ. საბჭოთა ცენტრალური აღმა-
სრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ **დ. აფციაური.**

1928 წ. აპრილის 25.
ტფილისი—სასახლე.

---

53. დადგენილება № 23 ც. ა. კ.

უპატრონო ბავშვთა დახმარების ლენინის სახელობის ფონდის შესაქმნელად სამდღიურის ჩატარების შესახებ ა. წ. აპრილის 22, 23 და 24-ს.

უპატრონო ბავშვთა დახმარების ლენინის სახელობის ფონდის შექმნის მიზნით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მოწყობილ იქნეს ფულად შეწირულებათა ყულაბებით მოგროვება ქ. ტფილისში, სოხუმში, ბათომში, ქუთაისში და სხვ. ქალაქებში, სადაც ეს მიზანშეწონილად იქნება ცნობილი და ტეხნიკურად შესაძლებელი.

2. დაიბეგროს სამდღიურის განმავლობაში ყველა სანახაობისა და გასართობის საწარმო, მისი საერთო შემოსავლის 10%-ს რაოდენობით.

3. დაიბეგროს სამდღიურის განმავლობაში ტფილისისა, ბათომისა, სოხუმისა, ქუთაისისა და ფოთის ყველა სასტუმრო, მისი სამი დღის საშუალო ბრუნვის 10%-ს რაოდენობით.

4. დაიბეგროს სამდღიურის განმავლობაში ყველა რესტორანი, რომელსაც მე-4 და 5 ხარისხის პატენტი აქვს, მისი დღიური საშუალო ბრუნვის 10%-ს რაოდენობით, სამი დღის განმავლობაში.

5. დაიბეგროს სამი დღის განმავლობაში გამოუნაკლისად ყველა კაზინო, ლოტო, პტი-შვო და სხვ. აზარტული სათამაშოების საერთო შემოსავალი 15%-ს რაოდენობით.

6. შეგროვებულ იქნეს შემოწირულებანი ნივთებითა და სხვ. საგნებით.

7. დაიბეგროს სამი დღის განმავლობაში ქ. ტფილისის გოგირდის აბანოების ნომრები 10%-ს რაოდენობით.

8. წინადადება მიეცეს ტფილისის აღმასკომს გამოყოს სამდღიურის განმავლობაში ტრამვაის ორი ახალი ვაგონი №№ 1 და 2 მარშრუტისა, რომელთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო შემოსავალი გადაირიცხოს უპატრონო ბავშვთა დახმარების რესპუბლიკანურ ფონდში.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1928 წ. აპრილის 18.
ტფილისი—სასახლე.

---

54. დადგენილება 24 ც. ა. კ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში დეკრეტებისა და დადგენილებების პროექტების განხილვის წესის შესახებ“ 1923 წლ. მაისის 26-ს თარიღითა და 41 №-ით გამოცემული დადგენილების მე-5 და მე-6 მუხლის გაუქმების შესახებ.

„საქართველოს სსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა გამოქვეყნების წესის შესახებ“ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. აპრილის 25 თარიღისა და 22 №-რის დადგენილების გამოცემასთან დაკავშირებით, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში დეკრეტებისა და დადგენილებების განხილვის წესის შესახებ“ 1923 წლ. მაისის 26 ს თარიღითა და 41 №-ით გამოცემული (კან. კრ. 1923 წლ. 1-ლი №-რი, მუხ. 21) დადგენილების მე-5 და მე-6 მუხლი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **დ. აფციაური.**

1928 წ. აპრილის 25.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „კომუნისტი“-ს 99 №-ში 1928 წ. აპრილის 29-ს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

55. დადგენილება № 25 ც. ა. კ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა ძალაში შესვლის დროის შესახებ" 1926 წლ. თებერვლის 1-ს თარიღითა და 5 №-რით გამოცემული დადგენილების 1 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა ძალაში შესვლის დროის შესახებ" 1926 წლ. თებერვლის 1-ს თარიღითა და 5 №-რით გამოცემული დადგენილების (კან. კრ. 1926 წ. № 1, მუხ. 5) 1 მუხლის რედაქცია შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 1. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მისი პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ყველა კანონი და განკარგულება, აგრეთვე ეკონომიური საბჭოს დადგენილებანი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა განკარგულებანი (დადგენილებანი, ინსტრუქციები და სხვ.), რაც გამოქვეყნებულ იქნება „საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულში" და გაზეთ „კომუნისტში", ძალაში შედის: ქალ. ტფილისში—დღიდან გამოქვეყნებისა ერთ-ერთ ზემოაღნიშნულ გამოცემაში, ქალ. სოხუმსა, ბათომსა და ცხინვალში—იმ დღიდან, როდესაც სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მიიღებს ერთ-ერთი აღნიშნული გამოცემის სათანადო ნომერს, ხოლო სხვა ქალაქებსა და სოფლებში—იმ დღიდან, როდესაც ამ ნომერს მიიღებს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღ-
მასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **დ. აფციაური.**

1928 წ. აპრილის 25.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი"-ს 100 №-ში 1928 წ. მაისის 1-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

56. დადგენილება № 26 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

მიწის კოდექსისათვის 92¹ მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლის მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-რის დადგენილების მე-2 მუხლის წესით სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

მიწის კოდექსს დაემატოს 92¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

მუხ. 92¹. ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში მიწის (მიწის სარგებლობის უფლების) ყიდვა, გაყიდვა, გაჩუქება, დაგირავება და საერთოდ გასხვისება აკრძალულია და გამოიწვევს მიწის კოდექსის 25 მუხლში აღნიშნულ შედეგებს; ამასთანავე მიწა (გარიგების ობიექტი) გადაეცემა ქალაქის საადგილ-მამულო ფონდს, ხოლო მიწის გასხვისებით აღებული სასყიდელი გადირიცხება ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის შემოსავლად.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **დ. აფციაური.**

1928 წ. აპრილის 25.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 101 №-ში 1928 წ. მაისის 4-ს.

---

57. დადგენილება № 27 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

მოუვლელობის გამო ქალაქ-ადგილას საცხოვრებელ შენობათა მუნიციპალიზაციის წესის შესახებ.

რადგანაც ბევრი მფლობელი არ აკეთებს საჭირო რემონტს, რათა საცხოვრებელი შენობა სათანადო მდგომარეობაში იყოს, რაც იწვევს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის დიდ ქალაქებში მწვავე საბინაო კრიზისის გართულებას,—მიუხედავათ იმისა, რომ ამ საგანზე ქალაქის საბჭოები სცემენ ხოლმე სავალდებულო დადგენილებებს,—და რადგანაც, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1-ლი მუხლის თანახმად, შენობის საკუთრების უფლება დაცულ უნდა იქნეს კანონით მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ეს უფლება თავისი სოციალურ-სამეურნეო დანიშნულების მიხედვით ხორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციელდება,—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 69 მუხლის შენიშვნის საფუძველზე, ადგენენ:

1. დამყარებულ იქნეს შემდეგი წესი მოუვლელობის გამო ქალაქ-ადგილას საცხოვრებელ შენობათა მუნიციპალიზაციისათვის.

2. უკეთუ აღმოჩენილ იქნა ისეთი შენობა, რომელიც საცხოვრებლად არის დანიშნული და რომელსაც ესაჭიროება რემონტი, რათა მისი ტეხნიკური მდგომარეობის შემდგომი გაუარესება თავიდან აცილებულ იქნეს, ქალაქის საბჭო მოახდენს აღნიშნული ნაგებობის ტეხნიკურ დათვალიერებას სპეციალური კომისიის მეშვეობით.

3. უკეთუ აღმოჩენილ იქნა შენობის მოუვლელობის ნიშნები, რაც წინა მუხლშია აღნიშნული, ზემოხსენებული კომისია შეადგენს სათანადო აქტს.

4. მესამე მუხლში აღნიშნული ტეხნიკური დათვალიერების აქტი წარედგინება ქალაქის საბჭოს, რომელიც საქმის გარემოებათა მიხედვით: ა) ან მისცემს მფლობელს ვადას შენობის საჭირო რემონტის გასაკეთებლად, ბ) ან აღძრავს შუამდგომლობას სათანადო სახალხო სასამართლოს წინაშე შენობის მოუვლელობის ფაქტის დასადასტურებლად.

შენიშვნა. ამა მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ქალაქის საბჭო მისცემს შენობის მფლობელს წერილობითი წინადადებას საჭირო სარემონტო მუშაობის წარმოების შესახებ და ამ მუშაობის შესასრულებლად დაუნიშნავს ვადას არა უმეტეს 6 თვისა.

5. რემონტის შესასრულებლად მიცემული ვადის (მე-4 მუხ. „ა“ პუნქტი) გასვლისას, ქალაქის საბჭო, მე-2 და მე-3 მუხლით გათვალიწინებულ წესისამებრ, შეამოწმებს შენობის მფლობელის მიერ რემონტის საქმეში დაკისრებული მოვალეობის შესრულებას; ამასთანავე, უკეთუ შენობის მფლობელი ქალაქის საბჭოს წერილობითი წინადადებას არ შეასრულებს, ქალაქის საბჭო იმოქმედებს ამა დადგენილების მე-4 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად.

6. ქალაქის საბჭოს შუამდგომლობას შენობის მოუვლელობის ფაქტის დადასტურების შესახებ სახალხო სასამართლო განიხილავს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის XXVII თავში გათვალისწინებული წესისამებრ, რისთვისაც გამოიწვევს ქალაქის საბჭოს და შენობის მფლობელს, ხოლო საერთო წესის იმ გამონაკლისით, რომ სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხის შესახებ საბოლოოა და არ განისაჩივრება.

7. სახალხო სასამართლოს მიერ შენობის მოუვლელობის ფაქტის დადასტურების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, ქალაქის საბჭო წარუდგენს შუამდგომლობას სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს, რათა ხსენებული შენობა მუნიციპალიზაციაქმნილ იყოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 69 მუხლის შენიშვნის თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. შენობის მუნიციპალიზაცია მისი მოუვლელობის გამო მოხდება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1-ლი მუხლის თანახმად, უსასყიდლოდ.

შენიშვნა 1. შენობის გაყიდვა, დაგირავება ან გაჩუქება კომისიის მიერ დათვალიერებისა და მოუვლელობის შესახებ (მუხლი 3) აქტის შედგენის შემდეგ, არ წარმოადგენს დაბრკოლებას აღნიშნული შენობის მუნიციპალიზაციისათვის ამა დადგენილებით გათვალისწინებული წესისამებრ.

შენიშვნა 2. უკეთუ ამ დადგენილების წესით მოხდა ისეთი შენობის მუნიციპალიზაცია, რომელიც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კომუნალურ ბანკშია დაგირავებული, ეს გირავნობა ძალაში დარჩება.

შენიშვნა 3. საცხოვრებელი შენობის ამა დადგენილების წესით მუნიციპალიზაციის დროს მუნიციპალიზაციაქმნილად ჩაითვლება ამ შენობის არასაცხოვრებელი ნაწილიც (დარაბა, საწყობი და სხვ.).

9. დადგენილება ესე შეტანილ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსში 69 მუხლის შენიშვნის დანართის სახით.

10. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის მარტის 20-ის თარიღისა და 35 №-ის დადგენილება მოუვლელობის გამო ქალაქად საცხოვრებელი შენობის მუნიციპალიზაციის შესახებ (საქართველოს სს რესპ. კან. კრებ. 1927 წ. № 3 მუხ. 47), რომელი დადგენილებაც შევსებულ იქნა სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის ნოემბრის 10-ის თარიღისა და 95 №-ის დადგენილებით (საქართველოს ს. ს. რესპ. კან. კრებ. 1927 წ. № 11, მუხ. 154),—გაუქმებულ იქნეს.

11. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც.საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომი-
სართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **დ. აფციაური.**

1928 წ. აპრილის 26.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 97 №-ში 1928 წ. აპრილის 27.

ეროვნული ბიბლიოთეკა

58. დადგენილება № 28 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ავტომობილების მოძრაობის თაობაზე არსებული პარიზის საერთაშორისო კონვენციის თანახმად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცერიტორიაზე მყოფ უცხო მოქალაქეთა ავტომობილების და მოტოციკლეტების თვითმოძრავი ეკიპაჟების ადგილობრივი გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

განთავისუფლებულ იქნეს ა/კ. სფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების (ა/კ. სფსრ კან. კრებ. 1926 წ. № 8, მუხ. 697) 57 მუხლისა და სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის თებერვლის 27-ის თარიღისა და 24 №-ის დადგენილების (საქართველოს სოც. საბჭ. რეპუბლიკის კან. კრებ. 1927 წ. № 2, მუხ. 31) მე-3 მუხლის მიხედვით თვითმოძრავ ეკიპაჟებზე დაწესებულ ადგილობრივ გადასახადისაგან იმ უცხო მოქალაქეთა ავტომობილები და მოტოციკლეტები, რომელნიც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმყოფებიან და უცხოეთის საავტომობილო საზოგადოების წევრები არიან,—თანახმად ავტომობილების მოძრაობის შესახებ არსებული პარიზის საერთაშორისო კონვენციისა (სსრკ კან. კრებ. 1926 წ. № 23, მუხ. 152—153),—არა უმეტეს 12 თვის განმავლობაში (დღიდან საქართველოს ტერიტორიაზე მოსვლისა, უკეთუ, ამასთანავე, სსრკ მოქალაქეთ მიცემული აქვთ სათანადო შეღავათი იმ სახელმწიფოს კანონებით, რომლის მოქალაქეებადაც აღნიშნული უცხოელები ითვლებიან.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომი-
სართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1928 წ. მაისის 4.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 105 №-ში 1928 წ. მაისის 9.

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

59. დადგენილება ს. კ. ს.

1927/28 წ. ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირების უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

რათა 1927/28 წლისათვის დადგენილი ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირება სისწორით იქნეს განხორციელებული, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ხელმძღვანელობს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1928 წლის თებერვლის 3-ის გაერთიანებული სხდომის დადგენილებას (ოქმი № 248) და ადგენს:

1. აეკრძალოს სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ ყველა რესპუბლიკანურ უწყებას და აგრეთვე ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ ყველა დაწესებულებას გადაიტანოს კრედიტი საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის და მის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური ერთეულების სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტით იმ სახარჯთაღრიცხვო ნაწილიდან, რომელიც საოპერაციო ხარჯებისათვის არის დანიშნული, იმ სახარჯთაღრიცხვო ნაწილში. რომელიც ადმინისტრატიულ-სამმართველობო ხარჯებს ითვალისწინებს.

აეკრძალოს აგრეთვე ყველა ზემოაღნიშნულ უწყებასა და დაწესებულებას გასწიოს რაიმე ხარჯი ადმინისტრატიულ-სამმართველობო საჭიროებისათვის მის განკარგულებაში ქონებული სხვა სახსარიდან.

2. აეკრძალოს იმავე უწყებებს და დაწესებულებებს აღძრან შუამდგომლობა ადმინისტრატიულ-სამმართველობო საჭიროებისათვის დამატებითი სახსარის მიცემის შესახებ იმ თანხის ზედმეტად, რაც დანიშნულია ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტით.

3. დაევალოს სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებს სისწორით დაიცვან შტატების დამტკიცებისა და შეცვლის არსებული წესი.

4. დაევალოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციას თვალყური ადევნოს, რათა სისწორით იქნეს განხორციელებული სსრ კავშირის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის წესისამებრ დადგენილი ადმინისტრატიულ-სამმართველობო ხარჯების შემცირება და აგრეთვე განაგრძოს მუშაობა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1927/28 საბიუჯეტო წლის ხარჯთაღრიცხვით ადმინისტრატიულ-სამმართველობო ხარჯების შემცირების შესახებ 1927 წლის აგვისტოს 30-ის თარიღით გამოცემული დადგენილების განხორციელებისათვის საქართველოს სოც. სობჭ. რესპუბლიკის იმ დაწესებულებებსა და საწარმოებში, რომელნიც სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე არ იმყოფებიან.

5. დაევალოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციას და სახელმწიფო საფინანსო კონტროლს თვალყური ადევნონ, რათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედგენილი შემცირება სისწორით იქნეს განხორციელებული ცალკე უწყებების მიერ ბიუჯეტის შესრულების პროცესში.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. აპრილის 30.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 102 №-ში 1928 წ. მაისის 5.

---

60. დადგენილება ს. კ. ს.

მრეწველობის სამშენებლო სამუშაოთა კლასიფიკაციის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სამშენებლო სამუშაონი მათი ხასიათისა და დანიშნულების მიხედვით განაწილებულ იქნენ შემდეგ ოთხ კატეგორიად:

1) ახალი მშენებლობა;

2) რეკონსტრუქციისა და გაფართოებისათვის წარძოებული სამუშაონი (ახალი სამუშაონი);

3) კაპიტალური რემონტი და

4) მიმდინარე რემონტი.

1-ლი კატეგორია.

ახალ მშენებლობას მიეკუთვნება აგება ახალი შენობისა და ნაგებობისა, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა და რომლის აშენებასაც შედეგად მოსდევს ახალი ღირებულების შექმნა (მაგალითად: ახალი ფაბრიკისა და ქარხნის აგება, ახალი გზების გაყვანა, დასახლებული ადგილისა, საქალაქო სახლისა, ქალაქის კანალიზაციისა და წყალსადენის ქსელისა, ცენტრალური გათბობის რაიონული სისტემისა და სხვ. მოწყობა).

მე-2 კატეგორია.

ახალ სამუშაოს მიეკუთვნება ყველა მუშაობა, რაც სწარმოებს არსებულ შენობათა და ნაგებობათა გადაკეთებისა და გაფართოებისათვის და აგრეთვე არსებულ შენობათა და ნაგებობათა სრული ან ნაწილობრივი გაუმჯობესებისათვის, რომელ მუშაობასაც შედეგად მოსდევს არსებული ღირებულების შემატება (მაგალითად: არსებულ შენობასა და ნაგებობაზე ახალი სართულის დადგმა, კაპიტალური გადაკეთება, მუშაობა ამა თუ იმ შენობის სხვა დანიშნულებისათვის მოსაგვარებლად და სხვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. დიდ საწარმოში ცნება „ახალი სამუშაო“ შეიძლება მიეკუთვნოს როგორც სამუშაოთა მთელ კომპლექტს, ისე ცალკე დიდ მშენებლობას (მაგალითად: ახალი სახლისა, საწყობისა, სამომსახურეო შენობისა და სხვა ნაგებობის აშენება არსებულ ფაბრიკასთან, რკინისგზასთან და სხვ., სამომსახურეო ნაგებობის აშენება საქალაქო შენობებთან და სხვ.).

მე-3 კატეგორია.

კაპიტალურ რემონტს მიეკუთვნება შენობათა და ნაგებობათა მნიშვნელოვანი ნაწილების მთლიანი განახლებისა და დაცვისათვის პერიოდულად ან, ცალკე შემთხვევაში, რიგს გარეშე (სტიქიური უბედურება, მოუვლელობა) წარმოებული მუშაობა და აგრეთვე მუშაობა ცალკე შენობათა და ნაგებობათა მნიშვნელოვანი ნაწილების განახლებისათვის, რაც დაკავშირებულია დიდ გადაკეთებასთან (მაგალითად: სახურავისა და ხიდის მთლიანი შეღებვა, კედლისა, თაღებისა და ღუმელების საძირკვლის ხელახლად ამოყვანა, ჩალანგარისა, სახურავისა და იატაკის გამოცვლა, მოკირწყლული ქუჩისა და ტროტუარის მთლად ხელახლად დაგება, საკანალიზაციო და წყალსადენის ქსელისა და გათბობისა და ვენტილაციის სისტემის ნაწილთა კაპიტალური შეკეთება და სხვ.).

მე-4 კატეგორია.

მიმდინარე რემონტს მიეკუთვნება რეგულარულად წარმოებული მუშაობა შენობის ან ნაგებობის ნაწილთა შესწორებისა და შეკეთებისათვის, რათა ეს შენობა თუ ნაგებობა შესაფერ მდგომარეობაში იყოს ნორმალური დაძველების პირობებსა და ამ შენობისა ან მისი აგებისათვის დაწესებული საამორტიზაციო ვადის განმავლობაში (მაგალითად, შეთეთრება, ნაწილობრივი შეღებვა, ნაწილობრივი (ადგილ-ადგილ) შეკეთება სახურავისა, იატაკისა, ჭერისა, კიბის ნაწილისა და კარისა, შელესვა, შეკეთება ღუმელისა და საკანალიზაციო და წყალსადენის ქსელისა და გათბობის და ვენტილაციის სისტემის ნაწილებისა, გამოცვლა ფანჯრისა და კარის მოწყობილობისა და წყალსადენის, კანალიზაციის და ელექტრონის ქსელის ცალკე მოწყობილობისა, ფანჯრისა და კარისა და ჭუჭრუტანების დაფუთვა, მინის ნაწილობრივ ჩასმა და სხვ.).

შენიშვნა. მიმდინარე რემონტი სწარმოებს შენობისა და ნაგებობის ღირებულების განსაზღვრული პროცენტის ფარგალში.

11. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ყველა სახალხო კომისარიატსა და სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და ორგანიზაციას — შეადგინოს ზემოაღნიშნულ საფუძველზე, წარმოებული მუშაობის ხასიათის მიხედვით,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამუშაოთა თვითეული ზემოხსენებული (ოთხი) კატეგორიისათვის, ამ სამუშაოთა სანომენკლატურო დახასიათება თავის უწყებაში სახელმძღვანელოდ და წარუდგინოს იგი საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯულელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭ. საქმეთა მმართვ. მოადგილე **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. მაისის 3.
ტფილისი—სასახლე.

შეცდომის გასწორება.

კან. კრებ. მე-6 №-ში, 106 გვერდზე 3—6 სტრიქონი უნდა დაბეჭდილიყო ასე: „ტფილისი სასამართლოს პრეზიდიუმის იმ დადგენილების განხილვა და დამტკიცება, რაც შეეხება ტფილისი სასამართლოს **სასამართლო** და საკასაციო კოლეგიისა და რესპუბლიკის ყოველ სასამართლოს ისეთი **განაჩენისა**, გადაწყვეტილებისა და დადგენილების გაუქმებას ან შეცვლას“...

საქართველოს სსრ ეროვნული ბიბლიოთეკა
ტფილისი

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტანბა.
მთავლიტი № 919. დაიბეჭდა 1.250.